პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 13 (12221) | სამშაბათი, 16 იანვარი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

იკაშკაშონ აგიტპუნქტების ჩირაღდნებმა

ყოველი ახალი დღე სულ უფრო გვიახლოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს სკკპ XXII ყრილობით გამოწვეული საყოველთაოსახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. მშრომელები უდიდეს ინტერესს იჩენენ ყრილობის დოკუმენტებისადმი, ძალასა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ ხორცი შეასხან პარტიის დიად წინასწარსახულობას.

კომუნიზმი შენდება მილიონობით მშრომელთა შემოქმედებით, და რაც უფრო მაღალია მასების შეგნებულობა, მით უფრო სრულად და ფართოდ იშლება მათი აქტივობა, მით უფრო სწრაფია ახალი საზოგადოების შექმნის ტემპი.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის პოლიტიკურ აგიტაციას.

აგიტატორი ცენტრალური ფიგურაა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მოწყობაში. მას ხალხი კომუნიზმისათვის აქტიურ მებრძოლს უწოდებს. ეს მაღალი სახელი მან დაიმსახურა სამშობლოს საკეთილდღეო შრომით, პატრიოტული საქმეებით, მას უთანასწორდებიან, მისგან იღებენ მაგალითს.

ახლა აგიტატორს ბევრი პასუხსაგები საქმე აქვს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების დროიდან გასული ოთხი წელი აღსავსე იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებით. ჩვენი პარტია განუხრელად ახორციელებდა სკკპ XX ყრილობის მიერ შემუშავებულ ლენინურ კურსს და საბჭოთა ხალხის მთელ ძალებს წარმართავდა სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის, სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და დედამიწაზე მტკიცე მშვიდობისათვის. ეს წლები აღინიშნა საყოველთაო სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებით, მშრომელთა საზოგადოებრივი აქტივობითა და თვითმოქმედებით.

სკკპ XXII ყრილობამ მიიღო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. ნათლად უჩვენონ პარტიის დიადი გეგმები, ჩვენი გრანდიოზული ამოცანები, დარაზმონ მასები, გაამრავლონ მათი ძალები სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად — ასეთია თვითეული აგიტატორის, პროპაგანდისტის, ყველა კომუნისტის საპატიო მოვალეობა.

მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უნდა ატარებდეს კონკრეტულ, მიზანსწრაფულ ხასიათს; იგი მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს, ორგანულად შევუხამოთ ორგანიზატორულ მუშაობას.

აგიტპუნქტი მთელი სააგიტაციო მუშაობის ცენტრია. ის მუდმივმოქმედი აგიტპუნქტები, რომლებმაც საინტერესოდ მოაწყეს თავიანთი მუშაობა, მშრომელთა საყვარელი ადგილი გახდა.

სამტრედიის რაიონიდან გვატყობინებენ, რომ სოფელ იანეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის აგიტპუნქტი დღემდეც კარგად მუშაობდა, მაგრამ მან განსაკუთრებით გააძლიერა თავისი საქმიანობა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ. აგიტპუნქტში ამომრჩევლებს შეუძლიათ მიიღონ საჭირო პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე, მოისმინონ მოხსენება, ლექცია, გაეცნონ საარჩევნო ლიტერატურას და სხვ.

ასეთი შინაარსიანი მოღვაწეობა დამახასიათებელია რესპუბლიკის სხვა ბევრი აგიტპუნქტისათვისაც.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში აენთო ბევრი ახალი აგიტპუნქტის ჩირაღდნებიც. მარტო თბილისში მუშაობა გაუხალ მრავალმა ახალმა აგიტპუნქტმა. მრავალმხრივი, შინაარსიანი მოღვაწეობის მაგალითს გვიჩვენებს თბილისის პლასტმასის ქარხნის აგიტპუნქტი (გამგე მ. სტვილია).

მაგრამ გვხვდება ისეთი ფაქტებიც, რომლებიც მეტყველებენ სააგიტაციო მუშაობის დაბალ დონეზე, აგიტატორთა უმოქმედობაზე. ცხინვალის რაიონის სოფელ დისევის კოლმეურნეობაში აგიტატორებს მეოთხე თვეა არ ჩაუტარებიათ საუბრები, რომ აღარფერი ვთქვათ თვალსაჩინო აგიტაციაზე, ლექციებზე, მოხსენებებზე და სხვა ღონისძიებებზე, რომლებიც აქ „უცხო ხილი“ გახდა. დისეელი აგიტატორები ვერც არჩევნებისათვის მზადებამ გამოაცოცხლა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არ აღელვებს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანს ნ. გიგოლაევს და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელს ნ. ბეკოევს. ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა ხაშურის რაიონის კოლმეურნეობა „შრომაში“.

ყოველდღიურად მზარდ საარჩევნო კამპანიას ახალი სიო შეაქვს აგიტატორთა მუშაობაში, მათ წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს. ამიტომ პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა, აგიტკოლექტივებმა კარგად უნდა მოიფიქრონ არჩევნებისათვის მზადების მთელი გეგმა. აგიტპუნქტების, აგიტატორთა მოღვაწეობის ძირითადი შინაარსია სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა სისტემატური, დამჯერებელი პროპაგანდა. ამოცანა ის არის, რომ გამოვიყენოთ მასობრივი მუშაობის ყველა მრავალფეროვანი საშუალება: თემატური საღამოები, მკითხველთა კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, მოწინავე ადამიანებთან შეხვედრები, საუბრები...

აგიტატორის მოვალეობაა, მისი დევიზია არა მარტო დაარწმუნოს, არამედ დაებმაროს, არა მარტო პროპაგანდა გაუწიოს, არამედ იყოს მასების ორგანიზატორი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ აგიტკოლექტივების შემადგენლობის განმტკიცებისათვის, პოლიტიკურ მუშაობაში მოიზიდონ საუკეთესო ძალები, მათ შორის ხელმძღვანელი მუშაკები, სპეციალისტები, წარმოების მოწინავენი.

ამასთან ერთად არ უნდა დაგვიწყდეს, რომ აგიტატორებს უნდა დავეხმაროთ, ვასწავლოთ მათ, ამიტომ პარტიულმა კომიტეტებმა რეგულარულად უნდა მოიწვიონ და ინსტრუქტაჟი გაუწიონ აგიტატორებს, დროულად უპასუხონ მათს ამაღელვებელ საკითხებს, მუდმივად იყვნენ მოვლენათა კურსში.

ჩვენთან ცოტა როდია ისეთი აგიტპუნქტი, რომლებიც გარეგნულად არ ეზიდავს მშრომელებს და შიგნითაც ცუდად არის მოწყობილი. საჭიროა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, მთელმა საზოგადოებრიობამ იზრუნონ აგიტპუნქტების შენობებსა და მოწყობილობაზე, შექმნან ყველა საჭირო პირობა აგიტკოლექტივების ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ამომრჩეველთა კულტურული მომსახურებისათვის. საჭიროა ახლავე დასახონ მათ არჩევნების მოწყობის ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებანიც.

დაე არჩევნებისათვის მზადების დღეებში მშრომელებს აღფრთოვანებდეს ჩვენი აგიტატორების დამჯერებელი, მართალი სიტყვა, შეპქონდეთ მათ მასებში კომუნისტური იდეები, რაზმავდნენ პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ეხმარებოდნენ საბჭოთა ადამიანებს კომუნიზმის პრაქტიკულად აშენებაში.

სართულეგი მიიწევენ ცისკენ მშენებლებთან

გუშინ შესანიშნავი ამინდი იყო თბილისში. მზემ იანვრის სუსხი გატეხა, სითბოს უხვად აფრქვევდა ქალაქის ყველა კუთხეში. ბაღები და პარკები სავსე იყო ხალხით. გოგონებსა და ბიჭებს პალტოები გაეხადათ, უფროსებისათვის მიებარებინათ და ხალისიანად ერთობოდნენ.

ასეთ დღეს პატარები კი არა, მშენებლებიც ნატრობენ ხოლმე, მაგრამ ბუნება ზმირად ჯიუტობს და მუშაობის საშუალებას არ იძლევა. გუშინდელი დღე კი სულ სხვა იყო. ზარმაცკაცსაც მუშაობის ხალისს გაუღვიძებდა, ამ შესანიშნავ დღეს უქმად არ დააკარგვინებდა. მშენებლები იანვრის ვერც სხვა დღეებს დამდურებიან...

ვესტუმრეთ საბურთალოს მასივის მეორე კვარტალის მესამე კორპუსის მშენებლობას. ყველა სართულზე ხალისიანი ყიჟინა ისმოდა. მშენებლები მეოთხე სართულს უკანასკნელ აგურებს აწყობდნენ. მლესავები მესამე სართულის შელესვას ამთავრებდნენ. წარმატებით მიმდინარეობდა სართულთა შორის რკინაბეტონის ფილებით გადახურვა.

— შეიდწლედის მესამე წელი ხვავიანი იყო. 1962 წელმა უნდა აჯობოს. ხომ ხედავთ, ამაში ბუნებაც გვიწყობს ხელს. შარმან იანვრის პირველ დეკადაში ბუნების სიჯიუტეს ვებრძოდით. ვარჩიეთ ვინმე უფროსი გვენახა და მშენებლებსაც გავცხობოდით.

ჩვენს წინ მანქანა გაჩერდა. შუა ხნის სანდომიანი ვაჟკაცი გადმოვიდა. იქვე ახლო მდგომ მუშას სთხოვა, გორგოშიძეს დამიძახეო.

ბიჭი უსიტყვოდ შებრუნდა, და ორიოდე წუთის შემდეგ გამოცხადდა საშუალო ტანის, ახალგაზრდა, რომელიც ვერცხლისწყალივით გაჩერებას ვერ ახერხებდა და ყოველ კითხვაზე პასუხს უმალვე იძლეოდა.

მათი საუბრიდან მივხვდით, რომ უსათუოდ მშენებლობის უფროსები უნდა ყოფილიყვნენ.

მეცხრე სამშენებლო სამმართველოს უფროსი შ. შალიკაშვილი მესამე კორპუსის სამუშაოთა მწარმოებელს ახალგაზრდა ინჟინერ გ. გორგოშიძეს მამაშვილურად არიგებდა. ჩვენც გამოვეცნაურეთ მათ და ვთხოვეთ საქმის მდგომარეობაზე მოეთხროთ.

— გასული წელი თბილისელმა ბინათმშენებლებმა, — დაიწყო სამმართველოს უფროსმა, — სასახელოდ დაამთავრეს. არც მეცხრე სამმართველოს კოლექტივმა იმუშავა ცუდად. მტკიცედ ვდგავართ მოწინავე ბინათმშენებელთა რიგებში. გასულ წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადაგვეცა 31 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ფაქტიურად ჩავაბარეთ 32.866 კვადრატული მეტრი.

— თქვენ უსათუოდ ხარისხზე შემეკითხებით. უნდა გითხრათ, — განაგრძობს შალიკაშვილი, — რომ ამ მხრივაც დიდი წარმატება გვაქვს. წინა წლებთან შედარებით მკვეთრად გავუმჯობესეთ მშენებლობის ხარისხი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მობინადრეთა საყვედურებმა იკლო.

წელს კიდევ უფრო დიდი ამოცანებს წინაშე ვდგავართ. გეგმა გაგვიდიდდა. შარშანდელთან შედარებით 5 ათასი კვადრატული მეტრით მეტი საცხოვრებელი ფართობი უნდა ჩავაბაროთ. მშენებლებს ეს არ გვაშინებს. წლის დასაწყისი კარგია. მასალებიც გვაქვს და ბუნებაც ხელს გვიწყობს. ყოველთვის იმას გვიკიჟინებდნენ, რომ პირველ კვარტალში ჩამოვრჩებოდით. შარშანაც ასე მოხდა, საექსპლოატაციოდ არც ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი არ ჩაგვიბარებია საექსპლოატაციოდ. წელს სულ სხვა მდგომარეობაა. ამჟამად უკვე მშენებლობის პროცესშია თოთხმეტი მრავალსართულიანი სახლი, რომელთა საერთო ფართობი 21 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება. აქედან ექვს სახლს, რომელთა ფართობი 9 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება, პირველ კვარტალში დავამთავრებთ და პირველად ჩვენს მუშაობაში ჩავაბარებთ საექსპლოატაციოდ. პერიოდულად სახლების ჩაბარება ხელს [illegible] ამ [illegible] ადამიანებს [illegible] ამით დიდების საბელი მოუპოვოთ ჩვენ [illegible]

[illegible] ლებს. კალატოზთა ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. დურგლიშვილი ისე იყო მუშაობაში გართული, რომ ჩვენი ასვლა არც კი შეუმჩნევია, კვლავ ბიჭებს დაუძახოდა:

— ამინდს დავიშუროთ, ბიჭებო, ორი დღის ნორმა უნდა დავაწყოთ, თორემ იანვარს ჩვენთვის ხელწერილი არ მოუცია, რომ ხვალაც ასეთი ამინდი იქნება.

— ბრიგადირო, ხომ არ ზარმაცობენ, რა გაბრაზებული დასძახი, — მიმართა სამმართველოს უფროსმა შ. შალიკაშვილმა.

— გაბრაზება რა საკადრისია, ამინდს ვეშურები, ამინდს.

— დღეში რამდენ კუბურ მეტრ აგურს აწყობს თქვენი ბრიგადა? — შევეკითხეთ დურგლიშვილს.

— გეგმით ოცდაათი კუბური მეტრი უნდა დავაწყოთ, მაგრამ ბიჭები 32-საც არ სჯერდებიან.

— როცა შრომაში ხელს არაფერი გვიშლის, — განაგრძობს ბრიგადირი, — ბიჭებს მკლავში ძალა ემატებათ, შრომაში მეტი ხალისი აქვთ და საქმეც წინ მიდის. ახალი წელი კარგად დაიწყო.

— თუ საკედლე მასალა შემოგვაკლდა, ამით ბრიგადა როდი ცდება, — საუბარში ჩაერია სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი გ. გორგოშიძე. — ბრიგადის თითქმის ყველა წევრი დაუფლებულია რამდენიმე პროფესიას. მათ კარგად შეუძლიათ აწარმოონ სართულს შორის ფილებით გადახურვა, კარებისა და ფანჯრების ზღუდარების აწყობა, კიბის ეჯრედების ბაქნების დაწყობა და სხვ. სახლთმშენებლობაში არაფერია ისეთი, რომ ბრიგადის წევრებმა გ. ჯანგრიშვილმა, ი. ნოეხაცკიმ, პ. რეკეესკიმ და სხვებმა ვერ გააკეთონ. მათი მარჯვენით აგურს აგური ემატება, სართულები მიიწევენ ცისკენ.

დღითიდღე იზრდება, ლამაზდება და მშვენდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი. ერთიმეორის მიყოლებით დგებიან მწყობრში ფაბრიკა-ქარხნების ახალი კორპუსები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები და ბაგები, სამკურნალო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი.

ბარაქალა თქვენს მარჯვენას, მშენებლებო!

ზ. ჯამასაპიშვილი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — კალატოზთა ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. დურგლიშვილი, ქვემოთ — ბრიგადის წევრები რ. გუგეშაშვილი, ლ. გუბაიეი, ვ. ველთაური და ა. ლისოვი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

საუკუნეზე მეტი ხნის წინათ — 1850 წლის 14 იანვარს აიხადა აღორძინებული ქართული თეატრის ფარდა. ეს ტრადიციული დღე ზეიმით აღნიშნა თბილისის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ.

14-21 იანვარს რუსთაველის სახელობის თეატრი აწყობს საუკეთესო დადგმების კვირეულს. ნაჩვენები იქნება „ბატრიონი“, „ფიროსმანი“, „ზღვის შვილები“, „პეპო“, „თანამედროვე ტრაგედია“. კვირეული დაიწყო მ. მრევლიშვილის „ბარათაშვილის“ მე-200 დადგმით. სპექტაკლს დაწყებამდე გამოვიდა კრიტიკოსი ბ. ძენტი. თეატრის მუზეუმში მოწყობილია გამოფენა, რომელიც ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების ისტორიას ასახავს.

14 იანვარს მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლის დაწყების წინ გაიმართა თეატრის კოლექტივის შეხვედრა ააუურებლებთან, შეხვედრა გახსნა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პ. კობახიძემ. ქართული თეატრის მოკლე ისტორია გაცნო დამსწრეებს თეატრის მცოდნემ დოცენტმა დ. ჯანელიძემ. ნაჩვენები იყო ქ. ბუაჩიძის კომედია „ოქროს კაცი ბეწვის ხიდზე“.

შუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრმა დადგა ა. აფშილავას პიესა „ადამიანი დაბრუნდა“.

საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს ტრადიციული დღე გრიბოედოვის სახელობის თეატრმა, მოზარდ მაყურებელთა ქართულმა და რუსულმა თეატრებმა და თბილისის სხვა თეატრებმა. (საქდესი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

14 იანვარს თბილისში დაიწყო საქართველოს ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედების დათვალიერება, რომელსაც აწყობენ რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და კომპოზიტორთა კავშირი. შესარჩევი კონცერტები პირველი ტურია სრულიად საკავშირო დათვალიერებისა, რომელიც მოსკოვში გაიმართება.

დათვალიერება გაიხსნა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში სიმფონიური კონცერტით.

კონცერტის პირველ განყოფილებაში საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ჯ. გოგიელის ხელმძღვანელობით შეასრულა სახელმწიფო კონსერვატორიის მეხუთე კურსის სტუდენტის შ. დავიდოვის სიმფონიური პოემა „ვეფხი და მოყმე“. შემდეგ საქართველოს სახელმწიფო კაპელის (დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯ. კახიძე) შესრულებით მოისმინეს ი. ბობოხიძის „სიმღერა თბილისზე“. სოლისტი იყო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ო. კუზნეცოვა.

მეორე განყოფილებაში კონსერვატორიის სტუდენტმა ე. გულისაშვილმა ორკესტრის თანხლებით შეასრულა ნ. ვაწაძის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. (საქდესი).

ამთავრეს ტექნიკური პროექტი მსოფლიოში უდიდესი—500 ათასკილოვატიანი ჰიდროგენერატორისა კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურისათვის.

* * *

სურათზე: ინჟინერ-კონსტრუქტორი ვ. ნ. ტუგარინოვი და ინჟინერ-გამანგარიშებელი ო. ო. გრიშკოვა ჰიდროგენერატორის საამქროში.

ფოტო ა. გრახოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲚᲝᲛᲝᲜᲝᲡᲝᲕᲘᲡ ᲗᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 12 იანვარი. (საკდესი). „სიმწიფის გზა“ — ასე ეწოდება მ. ვ. ლომონოსოვის ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობილი მკვლევარის ა. ა. მოროზოვის ახალ შრომას.

წიგნში, რომელიც გამოუშვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის ლენინგრადის განყოფილებამ, ახალი დოკუმენტური წყაროების საფუძველზე ფართოდ არის გაშუქებული ლომონოსოვის ცხოვრებისა და შემოქმედების პირველი ოცდაათი წელი.

წიგნის ავტორი ფართოდ სარგებლობს ლომონოსოვის წერილების ი. ი. შუვალოვისადმი, აგრეთვე „სამეცნიერო თხზულებებს“, ოფიციალურ „პატაკებს“, რომლებიც შეიცავენ ძვირფას ბიოგრაფიულ ცნობებს ლომონოსოვის შესახებ.

წიგნის კარები მიეძღვნა მეცნიერის სამშობლოს — ზღვისპირა ჩრდილოეთ. ლომონოსოვის ბავშვობასა და ყრმობას, მოსკოვის სლავიურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში მისი სწავლის წლებს, მარბურგში ყოფნას.

ᲯᲘᲔᲒᲐ, ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐ

ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘ. ქარხანა „ურალელექტროაპარატში“ წარმატებით შრომობენ სამეცნიერო-საკვლევი ელექტროტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლები. ისინი ქმნიან ჰიდროგენერატორების ახალ ტიპებს, რომლებსაც შემდეგ ქარხანა უშვებს, ამუშავებენ თანამედროვე ტექნოლოგიას, ეძიებენ წარმოების შემდგომი სრულყოფის გზებს. ამას წინათ ინსტიტუტის მუშაკებმა და-

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲚᲝᲛᲝᲜᲝᲡᲝᲕᲘᲡ ᲗᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 12 იანვარი. (საკდესი). „სიმწიფის გზა“ — ასე ეწოდება მ. ვ. ლომონოსოვის ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობილი მკვლევარის ა. ა. მოროზოვის ახალ შრომას.

წიგნში, რომელიც გამოუშვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის ლენინგრადის განყოფილებამ, ახალი დოკუმენტური წყაროების საფუძველზე ფართოდ არის გაშუქებული ლომონოსოვის ცხოვრებისა და შემოქმედების პირველი ოცდაათი წელი.

წიგნის ავტორი ფართოდ სარგებლობს ლომონოსოვის წერილების ი. ი. შუვალოვისადმი, აგრეთვე „სამეცნიერო თხზულებებს“, ოფიციალურ „პატაკებს“, რომლებიც შეიცავენ ძვირფას ბიოგრაფიულ ცნობებს ლომონოსოვის შესახებ.

წიგნის კარები მიეძღვნა მეცნიერის სამშობლოს — ზღვისპირა ჩრდილოეთ. ლომონოსოვის ბავშვობასა და ყრმობას, მოსკოვის სლავიურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში მისი სწავლის წლებს, მარბურგში ყოფნას.

ᲕᲐᲛᲔᲜᲝᲗ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ, ᲚᲐᲛᲐᲖᲐᲓ, ᲘᲐᲤᲐᲓ, ᲡᲐᲑᲭᲝᲣᲠᲐᲓ!

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘᲗ...

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ გაიარა სამრეწველო გამოცდა პროგრამული მართვის ბეტონის ქარხანამ, რომელიც სლავიანსკის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა დაამზადა. საათის განმავლობაში ქარხანა-ავტომატს შეუძლია დაამზადოს 60 კუბური მეტრი მაღალხარისხოვანი ბეტონის ნნარი. იმავე მწარმოებლობის პირობებში, როგორიც ჩვეულებრივ ბეტონის ქარხნებს აქვთ, ახალი ქარხნების ხარჯავს 40 პროცენტით ნაკლებ ელექტროენერგიას. პროდუქციის თვითღირებულება ერთიორად მცირდება.

პროგრამული მართვის ბეტონის ქარხნები, რომელთა გამოშვებას ითვისებენ ქალაქ სლავიანსკის მანქანათმშენებლები, ფართოდ იქნება გამოყენებული ავტომაგისტრალების და საირიგაციო სისტემების მშენებლობაში.

ᲒᲔᲛᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲠᲐᲒᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲙᲐᲛᲐᲖᲔ სუსხიანი ყინვებია, მაგრამ ვოტკინსკის ჰიდროკვანძის მშენებლები ამ დღეებში სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ გაზაფხულის შესახებ. მშენებლობის მრავალათასიანი კოლექტივი, რომელმაც გასულ შემოდგომაზე გადახერგა კამის კალაპოტი და საექსპლოატაციოდ გადასცა ჰიდროელექტროსადგურის პირველი ორი აგრეგატი, ახლა ესწრაფვის, რომ მომავალი ნაკვეთებისათვის რაბის გზა გაუხსნას გემებსა და ტვიკარავნებს. ვოტკინსკის ჰიდროკვანძის ეს რაბი თავისი ზომით არაფრით ჩამორჩება ვოლგის ჰიდროელექტროსადგურების რაბებს. გემსავალ ნაგებობათა რთული კომპლექსის მშენებლობისას დიდი მუშაობა განხორციელდა. კერძოდ, გადატანილია 14 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მიწა. გამალებით მიმდინარეობს მრავალტონიანი კარიბჭეების აწყობა. დღითიდღე იზრდება რაბის კამერების სიღრმე. მშენებლებს სჯერათ თავიანთი ძალა — რაბი გათვალისწინებულ ვადაში გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

ᲡᲣᲮᲣᲜᲘᲩᲘ (ᲙᲐᲚᲣᲒᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ), 12 იანვარი. (საკდესი). სუხუნიჩის რაიონის საზოგადოებრიობამ გულთბილად აღნიშნა დიდი სამამულო ომის გმირის ექვთიმე ილიას-ძე ოსიპენკოს დაბადების 60 წლისთავი.

იყო მრისხანე 1941 წელი. კომუნისტი ე. ი. ოსიპენკო, რომელიც მაშინ მილიციის რაიონული განყოფილების უფროსად მუშაობდა, პარტიზანულ რაზმში შევიდა. სახალხო შურისმძიებლები, რომლებიც მტრის ზურგში მოქმედებდნენ, ახორციელებდნენ დივერსიებს რკინიგზებზე, არღვევდნენ კავშირგაბმულობას, სპობდნენ მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, რომელიც მოსკოვისაკენ მიიწევდა. ერთ-ერთი ასეთი საბრძოლო ოპერაციის დროს ე. ი. ოსიპენკომ რკინიგზის ლიანდაგი ააფეთქა. მატარებელთა მოძრაობა შეწყდა. ჰიტლერელებმა ვეღარ შეძლეს გაეყვანათ სამხედრო ტვირთით სავსე ეშელონები და ისინი საბჭოთა ჯარებმა იგდეს ხელთ.

სამშობლომ დიდად დააფასა გმირობა ე. ი. ოსიპენკოსი, რომელმაც ომში მხედველობა დაკარგა. გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და პირველი ხარისხის მედლით „სამამულო ომის პარტიზანს“ №000001.

საბჭოთა ხალხის მამაცი შვილი, მიუხედავად იმ უბედურებისა, რომელიც მას დაატყდა, თავს მხნედ გრძნობს.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲜᲢᲐᲠᲥᲢᲘᲓᲘᲓᲐᲜ

ᲧᲘᲜᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 12 იანვარი. (საკდესი). დამთავრდა დიდი შიდაკონტინენტალური ლაშქრობა ანტარქტიდის უინულოვან გუმბათზე, იუწყება რადიოთი მეექვსე საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიციის უფროსი ამხ. დრიაცკი. გეოდეზიურმა მატარებელმა, რომელსაც მეცნიერი თანამშრომელი ამხ. ლაზარევიჩი მეთაურობს, 1.580 კილომეტრი გაიარა გიგანტური სამკუთხედით კომსომოლსკაია-სოვეტსკაია-ვოსტოკი და კვლავ ჩავიდა კომსომოლსკაიას სადგურში. მატარებლის ამოცანა იყო უინულოვანი გუმბათის ზუსტი სიმაღლეების განსაზღვრა, მიწის სიმძიმის გაზომვა, გეომაგნიტური და მეტეოროლოგიური დაკვირვება. გზა გადიოდა დაახლოებით სამი ათას ხუთას მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, უმეტესად ფხვიერ თოვლში.

ლაშქრობის მონაწილეებმა შეკრიბეს ნაკლებად შესწავლილი რაიონის დიდი მეცნიერული მასალა.

ამ დღეებში ლაშქრობის მონაწილეებს ჩაიყვანენ თვითმფრინავით მირნის ობსერვატორიაში, სადაც დაამუშავებენ მიღებულ მეცნიერულ მასალებს.

ᲒᲣᲚᲐᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ, 15 იანვარი. (საკდესი). ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟოაო გულარტმა აქ ლარანჟეიროსის სასახლეში საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ ახლანდელ პირობებში ბრაზილიის მთავრობა განსაკუთრებით დაინტერესებულია მშვიდობისა და მყუდროების შენარჩუნებით ბრაზილიაში.

გულარტმა შემდეგ აღნიშნა, რომ საჭიროა გადაიჭრას საზღვარგარეთ მოგების გაგზავნის შემცირების პრობლემა. არავითარი საბაბით, თქვა მან, არ უნდა გადაიდოს ამ პრობლემის გადაჭრა. ბრაზილიის ეკონომიკა „განუწყვეტლივ არ უნდა იცლებოდეს სისხლითან“. ბრაზილია, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ გულარტმა, უკან არ დაიხევს თვითგამორკვევისა და ჩაურევლობის პრინციპების დაცვასგან, რადგან ასეთი პოლიტიკა შეესაბამება ბრაზილიის ინტერესებს.

შეერთებული შტატები დათანხმდნენ აანაზღაურონ სამხრეთ ვიეტნამის არმიის კიდევ 30 ათასი სამხედრო მოსამსახურის შენახვის ხარჯები. ახლა სამხრეთ ვიეტნამის არმიის რიცხვი 200 ათას კაცამდე გაიზრდება. თავის მხრივ დასავლეთი გერმანია დათანხმდა მისცეს ნგო დინ დიემის მთავრობას 12,5 მილიონი დოლარა სესხი.

(გაზეთებიდან).

მუარი კედელი.

ნახ. გ. ლომაძისა.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕ

შემოქმედებითად, ახლებურად...

მაღალ დონეზე ჩავატაროთ საანგარიშო-საარჩევნო კრებები კოლმეურნეოებებში

შემოქმედებითი ძალების უმაგალითო აღმავლობის ვითარებაში დაიწყო საბჭოების ქვეყანამ ახალი, 1962 წელი. გმირმა საბჭოთა ხალხმა, რომელსაც კომუნიზმისაკენ წინსვლის გზას უნათებს XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, პარტიის პროგრამა, უჩვეულო ენერგიითა და ენთუზიაზმით გაჯერა ბრძოლა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად შვიდწლედის გადამწყვეტ მეოთხე წელს.

„საბჭოთა ხალხმა უკვე 1962 წლიდან უნდა იგრძნოს სოფლის მეურნეობაში იმ ღონისძიებათა განხორციელების რეალური ნაყოფი, რომლებიც პარტიის XXII ყრილობამ დასახა". ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ეს მოწოდება მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალი შრომითი გამარჯვებებისთვის აღაფრთოვანებს და რაზმავს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს.

ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა, მევენახეებმა და მეხილეებმა, მექანიზატორებმა და მეცხოველეებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა მშრომელმა შარშან ბეჯითად იმუშავეს და, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა. მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს შვიდწლედის მესამე წლის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ჩვენმა მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 154 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რითაც წლიური დავალება 103 პროცენტით განაღდეს. გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხილის მოყიდვის გეგმა. მეციტრუსეებმა სამშობლოს უპატაკეს ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების დავალების 120 და მეტი პროცენტით განაღდება. კარგი საფუძველი ჩაუყარეს 1962 წლის უხვ მოსავალს მხვნელ-მთესველებმა და მექანიზატორებმა. მათ თავთავიანი კულტურების საშემოდგომო თესვის გეგმა 103 პროცენტით შეასრულეს.

შვიდწლედის მეოთხე წელს კიდევ უფრო დიდი და პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგას ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. 1962 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულია სახელმწიფოს მიეყიდოს 155 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 190 ათასი ტონა ყურძენი, 180 ათასი ტონა მარცვლეული, 36 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. 100 ათასი ტონა ხილი. 16 ათასი ტონა თამბაქო, 1.400 ტონა დაფნის ფოთოლი, 55 ათასი ტონა ხორცი (ცოცხალი წონით), 152 ათასი ტონა რძე, 78 მილიონი ცალი კვერცხი, 4.800 ტონა მატყლი, 4.200 ტონა აბრეშუმის პარკი და სხვ.

ამ ციფრებს რომ ხორცი შეესხას, საჭიროა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელის დაძაბული, შემოქმედებითი მუშაობა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად, მათი ერთსულოვანი მზადყოფნა — გადააქციონ 1962 წელი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის წლად. ამოცანა ის არის, რომ კოლმეურნეთა საანგარიშო-საარჩევნო კრებები წარიმართოს მაღალ პოლიტიკურ დონეზე, სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, შვიდწლედის მეოთხე წლის დავალებათა განხორციელებად შესრულებისა და მინდვრის სადგაზაფხულო სამუშაოებისათვის სანიმუშოდ მომზადების ნიშნით.

1961 წლის წლიური ანგარიშების შედგენისა და საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარებისთვის დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი. დაწესებულია კალენდარული ვადები, ჩამოყალიბებულია ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანები.

ᲛᲔᲗᲐᲛᲒᲐᲫᲝᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲛᲐᲒᲝᲓᲔᲑᲔᲚᲛᲐ მეთამბაქოეებმა შარშან ჩინებულად იუროვეს. მიუხედავად უჩვეულო გვალვისა, თამბაქოს უხვი მოსავალი მოიყვანეს, რაიონის კოლმეურნეებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის გეგმა. 3.550 ტონის ნაცვლად ჩაბარებულია 3.568 ტონა თამბაქო.

თამბაქოს ჩაბარება გრძელდება.

Ბ. ᲑᲔᲥᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

Ш. ᲩᲐᲜᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე.

წლიური ანგარიშების შედგენა და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადება-ჩატარება დიდი მოვლენაა კოლმეურნეობების ცხოვრებაში. პარტიის სოფლის და რაიონული კომიტეტები, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები, კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ ამ დიდმნიშვნელოვან კამპანიას.

წლიური ანგარიშების მკაფიოდ უნდა აისახოს კოლმეურნეობის მთელი საქმიანობა, 1961 წლის განმავლობაში გაწეული შუშაობის შედეგები. საჭიროა წლიური ანგარიში ეყრდნობოდეს აღრიცხვის დავთრებში გატარებული სამეურნეო ოპერაციების სწორ მონაცემებს, კოლმეურნეობის ყველა საშალაბისა და ქონების ინვენტარიზაციის მასალებს.

მიზანშეწონილია კოლმეურნეთა საანგარიშო-საარჩევნო კრებას წინ უძღოდეს კრებები საწარმოო ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში. ამ კრებებზე ბრიგადირებმა და ფერმების გამგეებმა ანგარიში უნდა ჩააბარონ გაწეული მუშაობის შედეგებზე ბრიგადებსა და ფერმებში მომუშავე კოლმეურნეებს. ეს ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, კოლმეურნეთა შემოქმედებითი აქტივობის და საქმისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაძლიერებას.

ნ ლ ი ე რ ი ანგარიში კოლმეურნეობის მოსავლისა და შემოსავლის განაწილების საფუძველია. მოსავლის და შემოსავლის სწორად განაწილება კი კოლმეურნეობების შემდგომი სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. მთავარია კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის განაწილების დროს მოვაწყოთ საზოგადოებრივი ფონდებისა და შრომადღეებზე გასაცემი ფულადი შემოსავლის წილის გამოყოფა, უზრუნველვყოთ დებტორული დავალიანების ლიკვიდაცია და კოლმეურნეებთან საბოლოო ანგარიშსწორების დამთავრება, რომლის საბოლოო ვადად დაწესებულია 1962 წლის 1 მარტი.

შარშან მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში იყო საბრუნავი ფონდების, აგრეთვე განუყოფელი ფონდების მცირე ოდენობით გამოყოფის შემთხვევები. ამის გამო რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დაუფარავი დარჩა კაპიტალურ მშენებლობაზე გაწეული ხარჯები 7,9 მილიონი მანეთის ოდენობით. უფრო მეტიც. ზოგიერთ კოლმეურნეობაში, 1960 წელს გაწეული საწარმოო დანახარჯები მთლიანად არ დაფარეს იმავე წლის ფულადი შემოსავლიდან. ეს შემოსავლის განაწილების წესის აშკარა და უხეში დარღვევაა.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე 1962 წელი დაიწყო, რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში კოლმეურნეებზე ჯერ კიდევ არ არის გაცემული 1960 წლის შრომადღეებზე განაწილებული კუთვნილი თანხები. მაგალითად, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გაუცემელია 654 ათასი მანეთი, ვანის რაიონის კოლმეურნეობებში — 47 ათასი, ფუშეთისა — 71 ათასი, ბოლნისისა — 38 ათასი მანეთი და ა. შ.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ფართოდ უნდა მოეწყოს ისეთი საკითხებისა და ღონისძიებების განხილვა, რომელთა გადაუწყვეტლად შეუძლებელია საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობა. ასეთ ღონისძიებებს მიეკუთვნება წვრილი კოლმეურნეობებისა და ბრიგადების გამსხვილება, ბრიგადირებად და ფერმის გამგეებად სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დაწინაურება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ისეთ რაიონებსა და კოლმეურნეობებშიც კი, სადაც საკმაო კადრები ჰყავთ, ბრიგადირებად და ფერმების გამგეებად სოფლის მეურნეობის ჯერ კიდევ ცოტა სპეციალისტი მუშაობს. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ, მაგალითად, მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში 246 ბრიგადირიდან მხოლოდ ორს აქვს უმაღლესი განათლება, საშუალო განათლება კი 79-ს. ზუგდიდის რაიონში 315 ბრიგადირიდან უმაღლესი განათლება აქვს 2 ბრიგადირს, ხოლო საშუალო განათლება — 91-ს. ასევეა გურჯაანის რაიონში, სადაც 170 ბრიგადირიდან უმაღლესი განათლება აქვს შვიდს, ხოლო საშუალო განათლება — 76-ს და ა. შ. ჩვენი უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები და ტექნიკუმები ყოველწლიურად ამზადებენ და უშვებენ კვალიფიციურ კადრებს. მაგრამ რაიონებში ამ კადრებს გადადულად არ იყენებენ ფერმების გამგეებად და ბრიგადირებად.

კოლმეურნეობებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალ დონეზე ჩატარებამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი მეურნეობის სწრაფი ტემპით განვითარებას, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების — მეჩაიეობის, მევენახეობისა და მეხილეობის განუხრელ აღმავლობას, ყველა რეზერვის გამოვლინებასა და ამოქმედებას მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის.

ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო კადრების შემდგომ განმტკიცებას. საჭიროა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად მუშაობდნენ გამოცდილი, უნარიანი და ინიციატივიანი მუშაკები სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და პრაქტიკოსთა რიგებიდან. ის, ვინც ვერ უზრუნველყო საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობა, უხეშად დარღვია არტელის წესდება, არ შეიძლება კვლავ არჩეულ იქნას კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სუსტად ინერგება შრომის ანაზღაურების ისეთი პროგრესული ღონისძიებები, როგორიც არის კოლმეურნეთა შრომის ფულადი გარანტირებული ანაზღაურება და ყოველთვიური ავანსირება. ცნობილია, რომ ფულადი გარანტირებული ანაზღაურება გაცილებით ადვილად შეიძლება დაინერგოს მაღალსაქონლიან კოლმეურნეობებში, მიუხედავად ამისა, ისეთ რაიონებში, როგორიც არის ჩხოროწყუს, ცხაკაიას, ლაგოდეხის, გორის, სიღნაღის, წითელწყაროს და სხვა რაიონები, დღემდე არც ერთ კოლმეურნეობაში არ არის შემოღებული ფულადი გარანტირებული ანაზღაურება.

კოლმეურნეობების სამეურნეო-საფინანსო განმტკიცებისათვის მთავარია ფერმებისა და ბრიგადების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე და ბრიგადირებისა და ფერმის გამგეების შრომის ანაზღაურება წარმოებული პროდუქციის მიხედვით. მაგრამ კოლმეურნეობებში ეს ღონისძიება ძალიან ნელი ტემპით ინერგება. დღეისათვის რესპუბლიკის მხოლოდ 13 კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადებსა და ფერმებშია დანერგილი სამეურნეო ანგარიშიანობა. საოლქო და რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების მოვალეობაა ყოველი ზომა მიიღონ იმისათვის, რომ კოლმეურნეობებში ფართოდ დაინერგოს შრომის ანაზღაურების პროგრესული მეთოდები.

ბევრი ნაკლია საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში. დიდია პირუტყვისა და ფრინველის სიკვდილიანობა, განმტკიცებული არ არის საკვები ბაზა. საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებებში მონაწილე კოლმეურნეობები არ ამარაგებენ ფერმებს კონცენტრირებული საკვებით, გაბერილია მტატები და შრომის ანაზღაურების ნორმები. ამის შედეგად მაღალია წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება, რენტაბელური არ არის ზოგიერთი საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაცია დანაგვიანებულია არაკეთილსინდისიერი კადრებით, რის გამო ზშირია თანხების გაფლანგვა-განაიავებისა და სამუშაოთა უხარისხოდ შესრულების ფაქტები. ყველა ეს საკითხი საანგარიშო-საარჩევნო კრებების ფართოდ განხილვისა და მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ᲓᲘᲓᲘᲐ კოლმეურნეობათა აღმავლობის საქმეში პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია სრული ძალით ვერ ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობაზე და გამგეობების საქმიანობისადმი. ეს იმითაც აიხსნება, რომ პარტიის ზოგიერთ რაიკომი ჯეროვნად ვერ წარმართავს სოფლის კომუნისტების საქმიანობას, სუსტად რაზმავს მათ არსებული რეზერვების გამონაზვისა და ამოქმედებისათვის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის.

უკანასკნელ წლებში ზოგიერთ კოლმეურნეობაში წესად შემოიღეს ყოველ კვარტალში საერთო კრებაზე მოისმენონ და განიხილონ არტელის გამგეობის ანგარიში. ეს ძალიან კარგი წესია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს წესი ფართოდ არ არის გავრცელებული.

ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია წვრილი და ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობა. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ჩამორჩენილი კოლმეურნეობების დაწინაურებისა და განმტკიცებისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. საჭიროა გადამწყვეტ ღონისძიებათა განხორციელება კოლმეურნეობათა შემდგომი გამსხვილებისა და საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისათვის, რათა ყველა სასოფლო-სამეურნეო არტელი მოწინავე იყოს.

ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების სწრაფად დაწინაურების საქმეში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ საურდენ-საჩვენებელმა მეურნეობებმა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებმა.

მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მაჩვენებელია მიწის თვითეულ ჰექტარზე დახარჯული შრომის ერთეულზე პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობით მიღება. ამ ამოცანის გადაწყვეტის საშუალებაა სათესი ფართობების სტრუქტურის გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მაღალხარისხოვნად და დაწესებულ ვადებში შესრულება, ტექნიკის ნაყოფიერად გამოყენება, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა ყველა კოლმეურნეობაში.

ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ - ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ კრებები არა მარტო 1961 წლის შედეგებს შეაჯამებენ, არამედ მომავლის გეგმებსაც დასახავენ. 1962 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენისას კოლმეურნეობათა გამგეობებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თვითეული ჰექტარი მიწის სწორად გამოყენებას, მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მოცულობის გადიდებას ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო საავარგულებზე. ამ გეგმების შედგენაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კოლმეურნეთა ფართო მასებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა.

პარტიული ორგანოები მოვალენი არიან მიიღონ ზომები კოლმეურნეობების კადრებით განმტკიცებისა და ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემცირებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საკოლმეურნეო ქონების დაცვასა და სარეკიზიონ-საკონტროლო მუშაობის გაუმჯობესებას.

გაზაფხული მალე მოგვადგება კარზე. ამიტომ გაზაფხულისათვის მზადყოფნის საკითხი საანგარიშო-საარჩევნო კრებების მუშაობის ცენტრში უნდა იდგეს. ყოველმხრივ მზად ვართ თუ არა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის? როგორ მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება? — აი საკითხები, რომლებზეც საჭიროა კონკრეტული, საქმიანი პასუხი გასცენ მომხსენებელმა, ისე სიტყვებით გამოსულებმა.

კოლმეურნეთა საანგარიშო-საარჩევნო კრებები ეწყობა იმ შესანიშნავ დღეებში, როცა ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელები უდიდესი აღმავლობით ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. საქართველოს სოფელში სულ უფრო და უფრო ფართოდ ჩაღდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ახალი მწვერვალების დაპყრობისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მებრძოლურად, თავდადებული, შემოქმედებითი შრომით დაიწყეს შვიდწლედის გადამწყვეტი მეოთხე წელი. ისინი მტკიცე სიტყვას აძლევენ სამშობლოს, პარტიას, რომ 1962 წელს ახალ დიდ წარმატებებს მოიპოვებენ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნისთვის ბრძოლაში და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘᲡ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ...

ᲓᲦᲔᲡ სამი საათი შესრულდა. თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში შრომის ვაჭრეზე ახალი ცვლა დადგა. წინა ცვლის მუშები გაუნუწყვეტელ ნაკადად მიედინებოდნენ გასახალელისაკენ, შინ მიიჩქაროდნენ. მხოლოდ ერთი, შუახნის ჯმუხი ვაჟკაცი საქსოვ საამქროში ისევ დაზგებს დასტრიალებდა და სულაც არ ფიქრობდა შინ წასვლას. ეს გახლდათ სახელოვანი ფეიერი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი დავით ალიბეგაშვილი.

დღეს მართლაც არ წაესვლებოდა შინ დავითს მუშაობის დამთავრებისთანავე. თუ არ გავაფრთხილე და ჩემი დღევანდელი გამოცდილება არ გავუზიარე, არ შეიძლება, ფიქრობდა, როცა გვერდში ამოუდგა თავის შემცვლელ გეგეშიძეს. გულმოდგინედ უხსნიდა მას ყოველივეს, რის გაუთვალისწინებლობას შეიძლო ზიანის მოტანა, — დღევანდელი მუშაობის შემთხვევებს, დაწვრილებით აცნობდა დაზგებზე მუშაობის მომხდარ შეფერხებებს და ამის გამომწვევ მიზეზს.

— აბა შენ იცი, — ეუბნებოდა იგი მეგობარ ფეიერს, — იმ თორმეტ დაზგას განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება. ხომ იცი, ძაფი რა ნაზია, ხლართება კი რთული. სსრ კავშირში ჩვენ პირველმა მოვკიდეთ ხელი ამ ქსოვილის გამოშვებას. დავალება მეტად პასუხსაგებია, და რაც უნდა დაგვიჭდეს, იგი პირნათლად უნდა შეეასრულოთ. გავკვალოთ გზა, მოვიპოვოთ სახელი და პატივისცემა! აბა ყურადღებით, თავი არ შეიტრაბინოთ!

დავით ალიბეგაშვილის ბრიგადამ ფაბრიკაში პირველმა დაამსახურა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში პირველად დაიწყო ეს სახელოვანი მოძრაობა. გეგეშიძის ბრიგადა კი ახლა იბრძვის ამ საპატიო წოდების მოპოვებისათვის. ამ ორ ბრიგადას შორის დიდი ხანია გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. თუმცა ნინ მუდამ დავით ალიბეგაშვილის ბრიგადაა, მაგრამ მოწინავე ბრიგადასთან შეჯიბრება ხელს უწყობს გეგეშიძის მჭსოველთა ბრიგადას უკეთესად იმუშაოს, სისტემატურად აუმჯობესოს საწარმოო მაჩვენებლები.

დავით ალიბეგაშვილის ბრიგადას ბევრი სიახლე უნახავს, მაგრამ შეღვენდელი იანვარი მაინც სულ სხვაა მისთვის. ახალი წლის პირველ დღეებიდანვე ბრიგადამ დაიწყო ისეთი ქსოვილის გამოშვება, რომელიც ჯერ არათუ თბილისში, მთელ საბჭოთა კავშირშიც არ დამზადებულა. ამ ახალი ქსოვილის სტრუქტურა ბევრად განირჩეოდა სხვა ქსოვილებისაგან, სულ სხვაგვარად არის განლაგებული მისი ძაფსლართები. ქსოვილი კი გამძლე და მაღალხარისხოვანი გამოდის.

— აი ეს ქსოვილიც, — კმაყოფილებით გვიჩვენებს დავითი დაზგის დოლურიდან ახლახან ჩამოხსნილ ხვიებს.

ქსოვილი მართლა მშვენიერია, ვერაფერში წუნს ვერ დასდებ. ლამაზია მისი მოჩითულობა. ასეთი ქსოვილები დიდი რაოდენობით ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას. რაოდენ სასიხარულო და საამაყოა, როცა იცი, რომ ასეთი კარგი ქსოვილები პირველად შენს დაზგაზე მოიქსოვა, რომ პირადად შენმა ხელებმა მოქსოვა იგი.

ასეთი სიხარული და სიამაყე ბევრი განუცდია დავით ალიბეგაშვილს. ოცდაორი წელია იგი დაუღალავად მუშაობს თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში.

დავით ალიბეგაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადა ახალგაზრდა ფეიერებისაგან შედგება. 16 მეფეიერედან უმრავლესობა ფაბრიკასთან არსებულ მუშა ახალგაზრდობის სალამოს საშუალო სკოლაში სწავლობს. ბრიგადის მოწინავე წევრმა ლილი სიბაშვილმა კი ეს არის დაუსრულებლად დაამთავრა საფეიერო ტექნიკუმი. სადიპლომო შრომაში ლილიმ თავისი ბრიგადის გამოცდილება განაზოგადა.

ბრიგადა ერთი მტკიცედ შეკრული მეგობრული კოლექტივია, რომელშიც მუდამ იგრძნობა ამხანაგური ურთიერთ დახმარება არა მარტო შრომაში, არამედ სწავლასა და ყოფაცხოვრებაშიც. ასეთი შეხმატკბილებული შრომა ბრიგადას საშუალებას აძლევს გეგმით გათვალისწინებული 24 დაზგის ნაცვლად 40-ს მოემსახუროს.

დავით ალიბეგაშვილი სახელგანთქმული რაციონალიზატორიც არის. წინათ ბრიგადაში დაზგების მოცდენის შემთხვევები იყო. ამან ჩააფიქრა ბრიგადირი შემოქმედებითმა ძიებამ საშუალება გამოანახვინა. მან განახორციელა კონსტრუქციული ცვლილება, რომელმაც უზრუნველყო „დაზგის მექანიკური გამოთიშვა სხვადასხვა ავარიულ შემთხვევაში". ამ წინადადების დანერგვის შემდეგ დაზგის მოცდენა მინიმუმამდე შემცირდა. შარშან ფაბრიკაში განხორციელდა დავით ალიბეგაშვილის მიერ მოფიქრებული ოთხი რაციონალიზატორული წინადადება, რომლებმაც მნიშვნელოვანი ეკონომია მოუტანა საწარმოს.

ბრიგადის ყველა წევრს ხალისი და ენერგია გაუთავდება პარტიის XXII ყრილობის ისტორიულმა დოკუმენტებმა, პარტიის ახალ პროგრამაში ჩაწერილმა აღმაფრთოვანებელმა სიტყვებმა: „ჩვენი დღევანდელი თაობა კომუნიზმის დროს იცხოვრებს!" მათ კარგად იციან, რომ **ეს წელი წარმოდგენ პროდუქციის გამოშვების ხუთჯერ გადიდება, რაც გათვალისწინებულია პროგრამით, თვითეული საბჭოთა ადამიანისაგან თავდადებულ შრომას მოითხოვს. და ისინიც არ ზოგავენ ენერგიას, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ დიად საქმეში.**

Ა. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი დ. ალიბეგაშვილი (ცენტრში) ესაუბრება თავისი ბრიგადის წევრებს, მქსოველებს (მარცხნიდან მარჯვნივ) რ. ბერეგოვაიას, ნ. მაკვერაშვილს, ზ. ბერბერაშვილს და რ. ნაცვალოვს მაქოს გამოცვლის ჩქარობსნული ხერხის დაუფლების შესახებ.

ᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ — ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ!

ᲡᲮᲣᲛᲘ. პოლიტიკური განათლების სახლში ამას წინათ გაიმართა თეორიული კონფერენცია, მიძღვნილი სკკპ XXII ყრილობის მასალებისადმი. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს რაიონის აფხაზეთის საოლქო, ასრულებელი კომიტეტების შტატგარეშე ლექტორებმა, ინსტიტუტების, ტექნიკუმების, ქალაქ სოხუმის სკოლების ისტორიის მასწავლებლებმა.

მოხსენება თემაზე — „სკკპ ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის ზრდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში" — გააკეთა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ მ. ხვარციკიამ.

Შ. ᲑᲫᲐᲜᲘᲐ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). **ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲐᲓᲝᲒᲝᲜᲘᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲜᲒᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ „ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲓᲦᲔ".**

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ „ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲓᲦᲔ" ᲛᲝᲗᲐᲠᲗᲔᲓᲐ Ს. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲘᲢᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲩᲮᲘᲡᲐᲨᲘ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲠᲒᲐ ᲡᲐᲐᲓᲐᲠᲝᲨᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲥᲐᲠᲩᲮᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲒᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲛᲦᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐᲡᲬᲠᲝ.

ᲝᲜᲘ. პოლიტიკური განათლების სისტემაში მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებიდანვე რაიკომთან მუშაობს სოფლის პროპაგანდისტთა რეზერვის მოსამზადებელი ერთწლიანი კურსები, სადაც მარქსისტულ-ლენინური ცოდნის დონეს იმაღლებს ონისა და ამბროლაურის 80 პროპაგანდისტი.

Ნ. ᲓᲣᲨᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ. ამას წინათ აქ მოეწყო თეორიული კონფერენცია თემაზე: „კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა". კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა, პროპაგანდისტებმა, კონსულტანტებმა, ლექტორ-მომხსენებლებმა, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებმა და აგიტპუნქტების გამგეებმა.

ლექციი თემაზე „პარტიის ახალი პროგრამა კომუნიზმის მშენებლობის პროგრამაა" წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ყვანიამ. ლექციები წაიკითხეს აგრეთვე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ფ. ლომაშვილმა თემაზე „სკკპ როლის ზრდა კომუნიზმის მშენებლობაში" და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. რატიანმა თემაზე „ომისა და მშვიდობის პრობლემა თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პრობლემაა".

Შ. ᲨᲘᲠᲪᲮᲔᲚᲐᲨᲕ.

ᲧᲣᲚᲐᲠᲔᲚᲗᲐ ᲖᲕᲠᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ შედეგებით დაამთავრეს სამეურნეო წელი ყულარის მშრომელებმა. პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ლაშქრობამ მათ საშუალება მისცა თვითეული ჰექტარი ვენახიდან მიეღოთ 76,6 ცენტნერი ყურძენი, მაშინ როცა ვალდებულება 67 ცენტნერს ითვალისწინებდა. წარმატებით შეასრულეს აგრეთვე ხორბლის, სიმინდის და თამბაქოს საშუალო მოსავლიანობის, ხორცის, რძისა და მატყლის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

შარშან ყულარელებმა 28 ჰექტარით გაზარდეს ვენახების ფართობი და 203 ჰექტარამდე აიყვანეს. მთავარი ყურადღება მიაქციეს ვაზის სანერგე მეურნეობის განვითარებას.

ყულარელებმა მიიღეს ახალი გადაწყვეტილება:

მიმდინარე წელს 100 ჰექტარით გაზარდონ ვენახების ფართობი. 1965 წლისათვის ვენახის საერთო ფართობი აიყვანონ 600 ჰექტარ

იცნობდეთ: **ეს ნაწარმოები**

წარდგენილია ლენინურ პრემიაზე

ეპოქის მნაჯვრული მაჯიანე



ქართველი მკითხველი საზოგადოება ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდა ცნობას, რომ **ალექსანდრე ქუთათელის** ვრცელი ორტომიანი რომანი „პირისპირი“ წარდგენილია ლენინურ პრემიაზე.

ჩვენი ხალხი კარგად იცნობს ალ. ქუთათელს—იგი ეკუთვნის ქართული სიტყვის პირველხარისხოვან ოსტატთა იმ რიცხვს, რომელთაც დაიწყეს, განავითარეს და დაამკვიდრეს ახალი ქართული საბჭოთა ლიტერატურა. ეს ოსტატები სიტყვისა ოთხი თაობელი წლის წინ იდგნენ საბჭოთა ლიტერატურის აკვანთან, და დღესაც, როცა ჩვენი ქართული საბჭოთა მწერლობა თავისი დაჭარბაგებული ვაჟკაცობის ასაკშია, ყველა მისი დაუღლელი და დაუბერებელი მუშაკი ბევრია.

ალ. ქუთათელის ამ რომანს მუდამ საპატიო ადგილი დაეთმობა ქართული ლიტერატურის საუნჯეში. მწერალი საერთოდ მემატიანეა ეპოქისა, და აი ამ რომანის სახით ჩვენს წინაშეა მატიანე ქართველი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლისა იმ წლებში, როცა წყდებოდა ბედი ახალი საქართველოსი, როცა ახალი, საბჭოთა საქართველო იბადებოდა.

ეს იყო მძიმე და სუსხიანი წლები და ამ ფონზე ავტორმა გულწრფელად თქვა სამართლე იმ შინაგანი სულიერი ბრძოლის შესახებ, რომელსაც განიცდიდა ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტი, აზნაურული ბუდეების შთამომავალი, როცა ეს სცილდებოდა თავის კლასს და რევოლუციური შემბრუნებლისა და გარდატეხის წლებში ეძებდა ახალ გზას. თავისი სიჭაბუკის მიუხედავად, კორნელი სახეა ჩვენი ძველი ქართული ინტელიგენციისა, რომელიც გარდატეხის წლებში პირისპირ დგებოდა რევოლუციის, ეპოქის, სამშობლოს წინაშე და მართალ გზას ეძებდა. როგორ დადგა კორნელი თავისი კლასის ინტერესებზე მაღლა, როგორ იპოვნა მან გზა სიმართლისა, რა სულიერი ტანჯვა განიცადა მის ძებნაში, როგორ დაბრუნდა იგი ხალხის წიაღში, როგორ დასძლია ახალგაზრდა ინტელიგენტმა დიდი დაბრკოლებანი, როგორი ძნელი და რთული იყო მისი იდეური და მორალური გადადუღების პროცესი — აი ამაზე მოგვითხრობს ალ. ქუთათელის ვრცელი ეპოპეა.

ამ ამოცანის დასაძლევად ალ. ქუთათელმა თავიდანვე სამართლიანად აირჩია მეთოდი ჭეშმარიტი რეალიზმისა. ზემოხსენებული საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრა, რომელიც მისი რომანის ყურადღების ცენტრში დგას, მთელი სოციალური გარემოცვის გამოსახვის პრობლემა მან განუყოფლად და ორგანულად დაუკავშირა გმირის ინდივიდუალურ ბედსა და ვნებებს. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა დიდი ძალა რეალიზმისა, რომელიც მთლიანობაში წარმოგვისახავს პირადსა და საზოგადოებრივს, კერძოსა და ზოგადს.

სწორედ ამიტომ შეძლო მწერალმა ნაწარმოების ყოველი ეპიზოდი მტკიცედ ჩაექსოვა სიუჟეტში; ეპოქასთან რომანის გმირს აკავშირებს თვით გმირისაგე ინდივიდუალური სასიცოცხლო მისწრაფება. ამ კავშირის სათავე თვით ადამიანის სულშია ჩამარხული, ეს თვით მისი ბიოგრაფიაა. ამიტომ ეს მთლიანობაც ცოცხალი და ყოვლისმომცველია. ეს ღრმა შინაგანი კანონზომიერება სახისა აქცევს გმირს ჭეშმარიტად უძლიერეს და მართალ სახედ. ამ მიდგომით დახატა მწერალმა ცოცხალი ცხოვრება თავისი მთავარი გმირის კორნელი მხეიძისა.

რთულია ფსიქოლოგიური ქვეყანა ქუთათელის რომანის მთავარი გმირისა. მისი სულიერი ბიოგრაფია დახლართულია პოლიტიკურ მოვლენებში, პირადი ვნებების ქაოსში, ნაწილობრივ დაძლეულ და ნაწილობრივად ჯერ კიდევ დაუძლეველ სოციალურ ცრურწმენებში და ტრადიციებში. მისი ხასიათის ფორმირებაში მრავალგვარ ძალას, ჩვეულებას, პირად თავისებურებას, მრავალ გრძნობასა და განცდას თავისი როლი უთამაშნია. მწერალმა მთელი ეს რთული პროცესი აღადგინა საბჭოთა მწერლის ისტორიული განჭვრეტით და მხატვრის მგზნებარე ფანტაზიით.

რომანის ლეიტმოტივია გმირის კონფლიქტი სინამდვილესთან. ეს კონფლიქტი არის საფუძველი მისი სულიერი დრამისა. და ის უაღრესად მძაფრია, უკიდურესობამდე მიყვანილია, იმიტომ რომ იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რევოლუციამდელ წლებში პიროვნება არარაობად იყო მიჩნეული, სამშობლო ფეხქვეშ იყო გათელილი როგორც მეწვევიკ-ავანტიურისტების, ისე უცხოელი იმპერიალისტების მიერ; კორნელი ცხოვრებას იწყებდა მოწამლულ წლებში, მოწამლულ ჰაერში. უფრო სუსტებს, უნებისყოფოებს ითრევდა ეს მორევი, ჯანსაღი ნატურა კორნელისა კი ვერ ურიგდებოდა ამას, შფოთავდა, ჭაბუკი ხელის ფათურით ეძებდა გზას ბნელში, იბრძოდა იმიტომ, რომ, მიუხედავად მრავალი კომპრომისისა იმდროინდელი სინამდვილის წინაშე, ის სულიერად ჯანსაღი და ძლიერი იყო. კორნელი სიმართლისაკენ გზას გიგზებს სწორედ იმიტომ, რომ მისი მეგობრები, მისი სოლის ამხანაგები, ახლა უკვე დაეკაკაცებულნი, ბოლშევიკური პარტიის წევრები არიან.

თავისი ცხოვრების პირველ წლებში კორნელი მრავალ დათმობაზე მიდის, ხშირად უველფერში შეეჭვებული. ის, მართლაც, როგორც მისივე სატრფო ნინო შენიშნავს, ზედმეტად გართულია საკუთარი პიროვნებით, ხშირად ირტისტულ პესიმიზმსაც ეძლევა და ამ მარტოსულივით მოწყვნილი ჭაბუკისათვის არც ფილოსოფიური სკეპტიციზმია უცხო, თითქმის ორი ადამიანი ცხოვრობს კორნელის არსებაში. მაგრამ მისი გულის სიღრმეში ცოცხლობენ ჯანსაღი გრძნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ჭაბუკის გულში სიმართლე გაიმარჯვებს. ამიტომ სძულს კორნელის ყალბი ეგოცენტრიკი, ნიჰილისტი და რწმენადაკარგული მოგველადე, რომელიც ამბობს, რომ საქართველოსათვის თავის გაწირვა დამშალ ხეზე თავის ჩამოხრჩობას უდრისო; კორნელის სძულს ეს კაცი დიდი პატრიოტის გულის სინათლით, იმ ადამიანის მგზნებარებით, რომელსაც მთელი არსებით უყვარს თავისი სამშობლო.

კორნელი უაღრესად რთული ხასიათია, მისი ბიოგრაფია — ეს მთელი ეპოქაა. ის ხან უბრალო ჯარისკაცია, ფრონტის ჭირსა და ვაგლახს შეჩვეული, ხანაც უდარდელი ჭაბუკი, დარდიმანდი და მოლხინე, ის პოეტიც არის და მებრძოლიც, უნაზესი მეოცნებეც და ფხიზელი გონების ადამიანიც.

მაგრამ აი ნელ-ნელა იფანტება ეს ბურუსი, იწმინდება მისი სული, დგება ის იმდროინდელ სინამდვილეზე მაღლა. ტანჯვით და ტკივილით იბადება მის სულში მეორე ადამიანი, და თუმცა ჯერ კიდევ ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ნედავს ისტორიის პერსპექტივას. მეწვევიკების ბატონობის მძიმე წლებმა ვერ ჩაჰკლეს ამ მეოცნებე ჭაბუკში წარმტაცი ილუზიები. ის ნელნელა რწმუნდება, რომ საზოგადოებისა და პიროვნების გადარჩენისათვის მართებული და სწორი გზა არის ტირანიაზე, ჩაგვრაზე აგებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლა, რევოლუცია და პროგრესი. მას ღრმად სწამს, რომ მისი დაჩაგრული სამშობლოს ხსნა მარტო სოციალისტურ რევოლუციას შეუძლია. კორნელი მდის ამ დასკვნამდე მტკიცედ და სამდამო. მასზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს კარისმეტიის გლეხთა აჯანყება და ეს ფაქტი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას.

კორნელის თვითშეგნების გამოფხიზლების პირველი სიმპტომი — იგი სიძულვილით აქცევს ზურგს იმათ, ვინც ქართველ და სომეხ ხალხებს შორის სისხლისმღვრელ ომს აჩაღებს. მან კარგად იცის, რომ ჩვენი ხალხები განუყოფელი ძმები არიან და ეს ძმობა იყო მთავარი ხაზი ჩვენს ისტორიაში.

რომანში ავტორი ხშირად უბრუნდება პოლიტიკური ცხოვრების მოვლენათა გამოსახვას. მაგრამ იგი ამ მოვლენებს ყოველთვის გვიჩვენებს არა მშრალად, არა გარეგნულად, არამედ ისე, როგორც ისინი გადატყდებიან ადამიანთა, კერძოდ, რომანის პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ პრიზმაში. ის აქაც იცავს კლასიკური რეალიზმის უკვდავს ტრადიციას. აი იყვნენ მეგობრები, თანშეზრდილი ჭაბუკები. ერთი ქართველი, მეორე სომეხი — კორნელი და ლეონი. ერთად ხმელეთდნენ, ერთი ფიქრი და ოცნება ჰქონდათ, უყვარდათ ერთმანეთი, და რა კარგად გვიჩვენა მწერალმა, რომ მათ სულიერ მეგობრობას მაინც ვერა სტეხს, ვერ არღვევს ის შუღლი, რომლის გაღვივებაც სცადეს დაშნაკებმა და მეწვევიკებმა. მათ ვერ მოახერხეს იმ სულიერი სიახლოვის აღმოფხვრა, რომელიც ოდითვე აკავშირებდა ქართველებს და სომეხებს. ის ეპიზოდები, რომლებიც მწერალმა ამ თემას მიუძღვნა, მეტყველებენ ხალხთა შორის სულიერ ძმობაზე, იმაზე, რომ ამ ძმობას ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს.

1919 წლის გაზაფხულზე, როცა თურქებმა შემოუტიეს საქართველოს, კორნელი ფრონტზეა. ის თავები რომანისა, სადაც ავტორმა ბრძოლის ველი აღწერა, კორნელის მიერ ასკერის მოკვლა აღსანიშნავია იმით, რომ ის იშვიათია თავისი რეალისტური სიმძაფრით და სულიერი დაძაბულობით. ეს არის უფრო ფსიქოლოგიური განჭვრეტა ომისა და, შეიძლება ითქვას, მას ბადალი ქართულ მოუძებნია ეროვნულ ლიტერატურაში.

კორნელის პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ ევოლუციასთან ერთად რომანის ძირითადი ფიგურა ხდება ახალგაზრდა მწერალმა მოგვაცა სახე ახალგაზრდა ქართველი ქალისა, ნინო მაყაშვილისა. ამ სიყვარულის დახატვაშიც, ბევრად ადრინა თავი ქუთათელმა. მაგრამ ... [illegible] ... ლვრა ... [illegible] ... ბა ... [illegible] ... ბა ... [illegible] ... ბ

შეხვედრები განაში

ბაკრა, 14 იანვარი. საკ-დესის კორესპონდენტი იანჩენკო იუწყება: გუშინ დილით განის რესპუბ-ლიკის პრეზიდენტი კვამე ნკრუმა ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმ-ჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. მი-ქოიანს მის რეზიდენცია სტეიტჰაუზში. შემდეგ კვამე ნკრუმა და ა. ი. მიქოიანი გაემგზავრნენ აკოსომბოს რაიონში, სადაც მიმდინარეობს მდინარე ვოლტაზე ჰიდ-როელექტროსადგურის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები. აკოსომბოში მიმავალი კვამე ნკრუმა, ა. ი. მიქო-იანი და მათი თანმხლები პირები მოკლე ხნით გაჩერდნენ მუშათა ბრიგადის ტე-რიტორიაზე, რომელიც სოფლის მეურ-ნეობის პროდუქტებს აწარმოებს სომა-ნის რაიონში. კვამე ნკრუმამ და ა. ი. მი-ქოიანმა, რომლებსაც შეხვდა ბრიგადე-ბის ეროვნული ორგანიზატორი პოლ-კოვნიკი აბაბიო, დათვალიერეს ბრიგა-დის ფერმები, მიწის ნაკვეთები, რომ-ლებიც გაწმენდილია ხეებისა და ბუჩ-ქებისაგან სახნავი მიწის ფართობის გა-სადიდებლად, აგრეთვე დათვალიერეს ბრიგადის შენობები. ნკრუმა, ა. ი. მიქო-იანი და მათი თანმხლები პირები გულ-თბილად გამოეთხოვნენ ბრიგადის ხელმ-ძღვანელებსა და წევრებს და განაგრძეს გზა აკოსომბოს რაიონისაკენ.

სამი საათის მოგზაურობის შემდეგ ნკრუმა და ა. ი. მიქოიანი ჩავიდნენ აკო-სომბოში. აქ საპატიო სტუმრებს შეხვდ-ნენ მშენებლობის ხელმძღვანელები მთა-ვარი ინჟინრის ონველის მეთაურობით, რომელმაც ა. ი. მიქოიანს წარუდგინა მშენებლობის სხვა ხელმძღვანელები. მდინარე ვოლტაზე ჰიდრონაგებობის პროექტის გაცნობის შემდეგ ა. ი. მიქო-იანმა ასეთი ჩანაწერი დატოვა საპატიო დამთვალიერებელთა წიგნში:

„ბედნიერებად მიმაჩნია, რომ ვიყავი აქ, ელექტროგიგანტის მშენებლობაზე. იგი იქნება გული, სისხლით რომ კვებავს ინდუსტრიას, რომელიც ჩაისახა და ფართოდ ვითარდება განაში. მხურვალე სალამი საბჭოთა ადამიანებისა და პირა-დად ნიკიტა ხრუშჩოვის, საბჭოთა მთავ-რობის თავმჯდომარისაგან, რომლის პირ-ველი მოადგილე მე ვარ. საბჭოთა ხალ-ხის პატივცემული მეგობარი დოქტორი ნკრუმა მშენებლობის არა მარტო თავ-მჯდომარე, არამედ აგრეთვე მისი სული და გულია. გისურვებ წარმატებას. ა. მიქოიანი“.

პრეზიდენტი კვამე ნკრუმა, ა. ი. მი-ქოიანი და მათი თანმხლები პირები წა-ვიდნენ ახალ სასტუმრო „ვოლტაში“, სა-დაც მათ პატივსაცემად გამართეს საუზმე.

აკოსტომბოს რაიონიდან ნკრუმა და ა. ი. მიქოიანი წავიდნენ აბურის რაიონ-ში ბოტანიკური ბაღის დასათვალიერებ-ლად.

ბოტანიკური ბაღის დათვალიერების შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომა-რის პირველი მოადგილე და პრეზიდენ-ტი დაბრუნდნენ აკრაში.

აკრა, 15 იანვარი. (საკდესი). გუშინ ა. ი. მიქოიანი გაემგზავრა ქალაქ ტა-ფოში, სადაც გაეცნო დასავლეთ აფრიკის კაკაოს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუ-ტის მუშაობას.

ინსტიტუტის ტერიტორიაზე შესასვლ-ლთან ამხანაგ ა. ი. მიქოიანსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ ოლქის კო-მისარი კარბოე, ოლქის მთავარი ბელადი ნანა ამუაკვატა და ინსტიტუტის მეცნიერ-ი თანამშრომლები ინსტიტუტის დი-რექტორის ჯონ ბლენკოვეს მეთაურო-ბით.

ორ საათზე მეტს ა. ი. მი-ქოიანი დიდი ინტერესით ათვალიერებდა ინსტიტუ-ტის პლანტაციებს და ეც-ნობოდა ინსტიტუტის მეცნ-იერულ ექსპერიმენტებს ახალი ჯიშების კაკაოს ხის მოყვანის, ამ ხის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის, სასუქების გამოყენებისა და კაკაოს წარ-მოების გადიდების დარგში, დაინტერ-ესდა როგორ წარმოებს ამ დარგის ეროვნული კადრების მომზადება, აგრეთ-ვე დაინტერესდა ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურეთა მუშაობისა და ცხოვრე-ბის პირობებით.

ექსპერიმენტული პლანტაციების დათ-ვალიერების დამთავრების შემდეგ ა. ი. მიქოიანმა მადლობა გადაუხადა ინსტი-ტუტის დირექტორს ექსკუსიის კარგი მოწყობისათვის და უსურვა ინსტიტუ-ტის მთელ კოლექტივს წარმატება მუ-შაობაში. ხანმოკლე დასვენების შემდეგ ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირე-ბი აკრაში წავიდნენ.

საღამოს სსრ კავშირის განის საელჩოს შენობაში ა. ი. მიქოიანი შეხვდა განის საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებსა და მათი ოჯახის წევრებს და მეგობრუ-ლი საუბარი ჰქონდა მათთან.

1961 წლის დეკემბრის ბო-ლოს კუბის რესპუბლიკის დედაქალაქ ჰავანაში რევოლუციის მოედანზე გა-იმართა წერა-კითხვის უცოდინარობაზე გამარჯვებისადმი მიძღვნილი მასობ-რივი მიტინგი. 1961 წელს წერა-კითხ-ვა ასწავლეს 700 ათასზე მეტ კაცს. მიტინგზე გამოვიდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი, პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო და განათლების მინისტრი დოქტორი არ-მანდო ჰარტი. 30 ათასამდე ბრიგადის-ტი ინსტიტუტებში, სკოლებსა და სპე-ციალურ სასწავლებლებში შევა.

სურათზე: ბრიგადისტები ფანქ-რით — განათლების სიმბოლოთი.

პრესსა ლატინა — საკდესის ფოტო.

ასამგლეის სესიამ მუშაობა განაახლა

ნიუ-იორკი, 15 იანვარი. (საკდესი). საკდესის სპეციალური კორესპონდენტი **ნ. ა. ტურკატენკო** იუწყება:



დღეს 25 დღის შესვენების შემდეგ მუ-შაობას განაახლებს გაერთიანებული ერ-ების ორგანიზაციის გენერალური ასამ-ბლეის XVI სესია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცი-ის გენერალური ასამ-ბლეის XVI სესიის მუშაობის პირველი ნახევრის განმავლო-ბაში გასული წლის 19 სექტემბრიდან 20 დეკემბრამდე მიღე-ბულ ძირითად გა-დაწყვეტილებათა შორის აღსანიშნა-ვია: დადასტურება გაერთიანებული ერე-ბის ორგანიზაციის გენერალური ასამ-ბლეის XV სესიაზე ინიციატივით მიღე-ბული ისტორიული დეკლარაციის კო-ლონიური ქვეყნებისა და ხალხები-სათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ; აფრიკის გამოცხადება (მი-უხედავად დასავლეთის ბლოკის წი-ნააღმდეგობისა) უატომო ზონად; მი-ღება დეკლარაციისა ატომგულის იარა-ღის გამოყენების აკრძალვის შესახებ (კვლავ მიუხედავად დასავლეთის ბლოკის წინააღმდეგობისა).

მუშაობის მეორე ნახევარში გენერა-ლურმა ასამბლეამ უნდა განიხილოს მდგომარეობა ანგოლაში, სადაც პორ-ტუგალიელი კოლონიზატორები გამქელტ-ომს ეწევიან, რათა ჩაანშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა; ბელ-გიის „სამეფოს“ ტერიტორიის რუანდ-ა-ურუნდის მომავალი; არათვითმმართ-ველ ტერიტორიებზე მდგომარეობის შე-სახებ ინფორმაციის მიღებასთან დაკავ-შირებული საკითხები; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ კომისიის 17 წევრის დანიშვნა, რომელიც იმუშავებს კოლო-ნიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესა-ხებ ისტორიული დეკლარაციის განხორციელების საკითხებზე; კუბის რეს-პუბლიკის მთავრობის საჩივარი საერთა-შორისო მშვიდობისა და უშიშროებისადმი საფრთხესთან დაკავშირებით, რომ-ელსაც ჰქმნის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აგრესიული გეგ-მები კუბის წინააღმდეგ.

ამრიგად, ძირითადი საკითხები გენე-რალურ ასამბლეაზე იქნება კოლონიალ-ისმის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები. შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა, რომლებიც გრძნობენ, რომ ამ საკითხების განხილვისა და გადაჭრის მსვლელობაში კოლონიური სახელმწი-ფოების წინააღმდეგ კვლავ იქნება მი-მართული კრიტიკის ცეცხლი, სცადეს სესიის მეორე ნახევარს მისცეს „სწორი მიმართულება“. ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენ-ლები სამ დღეს თათბირობდნენ ამ მიზ-ნით ვაშინგტონში.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, რომელიც ნატოს სახელმწიფოთა პოლიტიკას „გა-ერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიტიკად“ ასაღებს, წერს: „შეერთე-ბულმა შტატებმა საესებით გარკვევით გააფრთხილეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი წევრები არ მი-მართონ ერთობლივ მოქმედებას, რომ-ელიც ხელს შეუშლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეფექტიან მუშაობას“.

ჟურნალისტთა სესიაზე

ჰავანა, 14 იანვარი. (საკდესი). გუშინ აქ მუშაობა დაიწყო ჟურნა-ლისტთა საერთაშორისო ორგანიზა-ციის აღმასრულებელი კომიტეტის სესიამ. სესიის მუშაობაში მონაწი-ლეობას იღებენ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის 35-ზე მეტი ქვეყნის ჟურნალისტთა ორგა-ნიზაციების წარმო-მადგენელნი, მათ შო-რის საბჭოთა ჟურნა-ლისტების დელეგაცია გაზეთ „პრავდის“ მთა-ვარი რედაქტორის ა. ა. სტიუკოვის მეთა-ურობით. ჟურნალისტე-თა საერთაშორ ი ს ო ორგანიზაციის აღმას-კომის სესიაში მონა-წილეობენ აგრეთვე მ ე თ ვ ა ლ ყ ურ ი ნ ი და სტუდრენი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. სესია შესავალი სიტ-ყვით გახსნა ჟურნა-ლისტთა საერთაშორი-ხო ორგანიზაციის პრეზიდენტმა ჟან-მორის ერმანმ.

კუბის რევოლუციური მთავრობისა და ხალხის სახელით სესიის დელეგატებს მიესალმა რესპუბლი-კის პრეზიდენტი ოსვალდო დორ-ტიკოსი.

ინდონეზია ემზადება...

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორეს-პონდენტი ჯაკარტადან იუწყება, რომ „ინდონეზიაში იწყება საყოველთაო მო-ბილიზაცია“. 14 იანვარს, იუწყება კო-რესპონდენტი, არმიის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ათიათასობით მონაწი-ლე, რომლებიც გამოეხმაურნენ პრეზი-დენტ სუკარნოს მოწოდებას დასავლეთ ირიანიდან ჰოლანდიელთა განდევნის შე-სახებ, გაიწვევენ არმიაში 15 იანვარს და დაიწყება მათი სამხედრო მომზადება.

ეს ცნობა გამოქვეყნდა დასავლეთ ირიანის განთავისუფლების ოპერატიული შტაბის უფროსის ბრიგადის გენერალ ალიდ ჯანის განცხადების შემდეგ, რომ სამხედრო მომზადება წარმოებს არა მარ-ტო დასავლეთ ირიანის მოსაზღვრე აღ-მოსავლეთ ინდონეზიაში, არამედ აგრეთ-ვე „ინდონეზიის ყველა სხვა ნაწილში“.

იმპერიალისტთა მაცდური ოინები

პრაღა, 12 იანვარი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სა-მდივნომ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

სულ რამდენიმე კვირის წინათ პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესმა მთე-ლი მსოფლიოს მშრომელებისა და პრო-ფკავშირულ მოღვაწეთა ყურადღება მი-აქცია ამერიკელ იმპერიალისტთა მანევ-რებს, რომელთა მიზანი ის არის, რომ ახალი შეიარაღებული აგრესია დაიწყონ კუბის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წაქეზებით ამერი-კის სახელმწიფოთა ორგანიზაცია იწვევს მიმდინარე წლის 22 იანვარს პუნტა-დელ-ესტეში (ურუგ-ვაი) ამერიკის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების სპეციალურ თათბირს, რომ-ლის დღის წესრიგშია ერთად-ერთი პუნქტი: „კუბის პრობ-ლემა“. ამ თათბირის მიზანი ის არის, რომ ჩაითრიონ ამერიკის კონტინენტის სხვა ქვეყნები საერთო და გაერთიანებულ ბრძოლაში ახალგაზრდა კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ. სი-ნამდვილეში საქმე ეხება იმას, რომ განხორციელდეს დებუ-ლები ამერიკის ქვეყნების პაქტისა (რიო-დე-ჟანეირო), რომელიც შეაკოწიწეს ჯერ კი-დევ ცივი ომის დასაწყისში, 1947 წელს. ამ ხელშეკრულე-ბით გათვალისწინებული ღონ-ისძიებანი მიმართულია იმი-სათვის, რომ გაწყდეს დიპლო-მატიური და სავაჭრო ურთი-ერთობა, მოეწყოს სრული ბლოკადა და გამოიყენონ შე-იარაღებული ძალა. ამრიგად, ძლევამოსილი რევოლუციი-ს ქარშხლის მიერ აღგვილი ამე-რიკელი იმპერიალისტები და მონოპოლისტები, რომლებმაც ახლო წარსულში განიცადეს როგორც სამხედრო, ისე ეკო-ნომიური დამარცხება კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, ახალ სეიროიზულ შტიგვას ამზადებენ ხალხის წი-ნააღმდეგ. რომელმაც, თავის ბედს გამგებელი რომ გახდა, გმირული ბრძოლით მოიპოვა სრუ-ლი დამოუკიდებლობა, გააუქმა მონ-ოპოლია, გადასცა მიწა იმათ, ვინც მას ამუშავებს, ბოლო მოუღო საუკუ-ნეობრივ უწიგნურობას. ამერიკელი იმ-პერიალისტები ამზადებენ საზიზღარ თა-ვდასხმას ხალხზე, რომელიც ყოველი ღონისძიებით ამტკიცებს დამოუკიდებ-ლობას, ახორციელებს თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, ადიდებს პროდუქ-ციის გამოშვებას, რათა საბოლოოდ მო-უღოს ბოლო სიღატაკესა და უმუშევ-რობას, რაც მას იმპერიალისტთა სამარ-ცხვინო ბატონობამ დაუტოვა.

ამერიკის სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომ-ელიც მოწვეულია 1962 წლის 22 იანვარს, არის უკანონო აქტი, უმაგალითო ჩარევა კუბის საშინაო საქმეებში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, რომელიც კვლავ აცხადებს თავის სრულ სოლიდარობას კუბის მშრომელებისა და ხალხისადმი, კუბის მშრომელთა რევოლუ-ციური კონფედერაციისადმი, მტკიცედ ელაშქრებს ამერიკელ იმპერიალისტთა მუქარის წინააღმდეგ კუბის რესპუბლი-კისადმი და მოუწოდებს ყველა ქვეყნის მშრომელებსა და პროფკავშირებს აღი-მაღლონ პროტესტის ხმა მათი აგრესი-ული ზრახვების აღსაკვეთად. პროფკავ-შირთა მსოფლიო ფედერაცია მიეალ-მება ლათინური ამერიკის მშრომელებსა და ხალხებს, რომლებიც აქტიურად იბრ-ძვიან თავიანთი კუბელი ძმების მხარდა-საჭერად. იგი მოუწოდებს მათ გააქტი-ურონ თავიანთი მოქმედება, რათა აიძუ-ლონ შესაბამისი ქვეყნების მთავრობები უარყონ ყოველი გადაწყვეტილება, რომ-ლებიც მიმართულია კუბის წინააღმდეგ. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოუწოდებს მთელი მსოფლიოს პროფკ-ავშირულ ორგანიზაციებსა და მშრომე-ლებს იბრძოლონ ამერიკელ იმპერიალი-სტთა ყოველგვარი ხრიკების წინააღმდეგ ვიცრი კუბელი ხალხის მიმართ. დაე მთელი მსოფლიოს მშრომელთა მძლავრ-მა მსოსობრივმა მოძრაობამ ცხადყოს თა-ვისი მტკიცე სოლიდარობა და მხარ-დაჭერა კუბის მშრომელებისა და ხალ-ხისადმი.

გიდსტრუპი ამხილეგს

იმასთან დაკავშირებით, რომ დანიის საზო-გადოებრიობა იღაშქრებს დანია-დასავლეთ გერმანიის გაერთიანებული სამხედრო სარდ-ლობის წინააღმდეგ, რომლის შექმნა ზრდის საერთაშორისო დაძაბულობას და ომის სა-ფრთხეს, დანიის გაზეთმა „ლანდ ოგ ფოლკ-მა“ გამოაქვეყნა **ჰ. ბიდსტრუპის** ორი კარი-კატურა.

დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინი-სტრმა შტრაუსმა სამართალში მისცა გერ-მანელი მხატვარი იმისათვის, რომ მან და-ხატა ყასაბი თვითონ შტრაუსის სახის მხე-ცური ნაკვთებით. (გაზეთებიდან).

თუ კიბმე უმართებულოდ მიიჩნევს მსგავ-სებას დანიასა და იმ გოჯს შორის, რომე-ლიც ყასაბს უჭირავს, ამაში შეიძლება ბრა-ლი დაედოს მხოლოდ დანიის ფოლკეტინგსა (პარლამენტს) და თავრობას.

დანიის პრემიერ-მინისტრმა ვ. კამპმანმა, მიუხედავად იმისა, რომ დანიაში მასობ-რივად აცხადებენ პროტესტს დანია-დასა-ვლეთ გერმანიის ეგრეთწოდებული გაერ-თიანებული სარდლობის წინააღმდეგ, გა-ნაცხადა, დარწმუნებული ვარ, რომ დანი-ელი ხალხი მხარს დაუჭერს მთავრობის მისწრაფებებს მშვიდობის შენარჩუნებისა-დმიო.



კამპმანი: — კარგია, როცა დარწმუნებუ-ლი ხარ, რომ შენს ზურგს უკან დგას მთელი ხალხი.

ბონი, 14 იანვარი. (საკდესი). ბონ-ში ბერლინ-ბონ-ბონ-ბერლინ-ბონ-ბონ-ბერ-ლინ-ბონ-ბონ-ბერ-ლინ-ბონ-ბონ-ბერ-